ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №60

15.06.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, ლევან ჟორჟოლიანი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **მაია ბითაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. **ლევან ჯღარკავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
4. **ვიქტორ წილოსანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსი;
5. **ა. ტრაპაიძე, შ. ღარიბაშვილი, ა. ბიბილაშვილი,** (ქ. თბილისში, „დიღმის ჭალების“ მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლების წარმომადგენლები - დაინტერესებული პირები).

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1

დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია ქალაქ თბილისსა და მის შემოგარენში არსებული მწვანე ნარგავების მდგომარეობის და მათი მოვლა-პატრონობის შესახებ

/მომხსენებელი: მაია ბითაძე - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ინფორმაცია ქალაქ თბილისსა და მის შემოგარენში არსებული მწვანე ნარგავების მდგომარეობის და მათი მოვლა-პატრონობის შესახებ

მომხსენებლის (მ. ბითაძე) მიერ დღის წესრიგით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენამდე, დამსწრე საზოგადოებას მიმართა სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი დუხტურიშვილმა და აღნიშნა, რომ ობიექტური მიზეზების (ახალი კორონა ვირუსის - COVID-19-ის გამო ქვეყანაში გამოცხადებული კარანტინის და საგანგებო მდგომარეობის) გამო ვერ მოხერხდა აღნიშნული ინფორმაციის მოსმენა. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ როგორც საკრებულოს და კომისიის წევრებს, ასევე სხდომაზე დამსწრე დაინტერესებულ მოქალაქეებს მიეცემათ შესაძლებლობა დასვან კითხვები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა მაია ბითაძემ.

მომხსენებელმა, ქალბატონმა მ. ბითაძემ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ქალაქ თბილისსა და მის შემოგარენში არსებული მწვანე ნარგავების მდგომარეობის და მათი მოვლა-პატრონობის შესახებ. ქალბატონმა მაია ბითაძემ ასევე ისაუბრა თბილისსა და მის შემოგარენში არსებული ხევების ინერტული და სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების (სტიქიური ნაგავსაყრელები), ასეთი ქმედებით გარემოზე და მწვანე ნარგავებზე მიყენებული ზიანის, ამ მიმართულებით ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი ხელმძღვანელი პირებისა თუ სამსახურების მიერ მიღებული ზომების შესახებ.

ქალბატონი მ. ბითაძე ასევე შეეხო „დიღმის ჭალებში“ მიმდინარე პროცესებს და აღნიშნა, რომ მხოლოდ „დიღმის ჭალებში“ არ ხდება ინერტული და სამშენებლო ნარჩენების თვითნებურად განთავსება. მსგავსი სიტუაცია შექმნილია თითქმის ყველა მდინარის სანაპიროსა თუ ხევში. მაგალითად მოიყვანა ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ ხევში მილიონობით კუბური მეტრი სამშენებლო ნარჩენის დაყრის ფაქტი, რასაც მოჰყვა ხევის ამოვსება და ლისი ტბაში ბუნებრივად ჩამდინარე წყაროების (განშტოების) ჩაკეტვა.

მომხსენებლის ინფორმაციით, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ კონტროლი გამკაცრდა და მუნიციპალური ინსპექცია აქტიურად ახდენს მსგავსი ფაქტების გამოვლენას და შესაბამისი ზომების მიღებას საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. შედეგად - გაიზარდა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე სამშენებლო ნარჩენის შეტანისა და განთავსების რაოდენობა, რაც მისასალმებელია, მაგრამ არასაკმარისი.

იმის გამო, რომ საჯარიმო სანქციები დაბალია და არ შეესაბამება გარემოსთვის მიყენებულ ზიანს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლის მიღების შემთხვევაში ჯარიმების ოდენობა ათჯერ გაიზრდება.

„დიღმის ჭალებში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ქალბატონმა მაია ბითაძემ აღნიშნა, რომ ტერიტორიაზე ინერტული მასალის მოპოვება, სამშენებლო ნარჩენის განთავსება და „დიღმის ჭალების“ საქალაქო პარკის პროექტი ერთმანეთთან კავშირში არ არის. კერძოდ, „დიღმის ჭალებში“ მიმდინარე პროცესი დაკავშირებულია ცენტრალური მთავრობის მიერ გაცემულ ინერტული მასალის მოპოვების ლიცენზიასთან, რომელიც გაცემულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და რომელშიც გაწერილია ლიცენზიანტის მიერ შესასრულებელი ვალდებულებებიც. თავად ეს პროცესიც უნდა გაიმიჯნოს ორ ნაწილად: პირველი, ინერტული მასალის მოპოვება და, მეორე, ტერიტორიაზე სამშენებლო თუ ინერტული მასალის მოპოვების შედეგად დარჩენილი ნარჩენის დაყრის საკითხი.

ქ-ნმა მ. ბითაძემ ისაუბრა ინერტული მასალის მოპოვების ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების და პროცედურების, ასევე, ლიცენზიანტის მხრიდან ვალდებულების შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლის მექანიზმების შესახებ.

მომხსენებელმა (მ. ბითაძე) ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებებზე და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, აღნიშნულ საქმიანობას გაუწიონ კონტროლი და დარღვევების გამოვლენისას მიიღონ შესაბამისი ზომები.

„დიღმის ჭალების“ თემასთან დაკავშირებით **აზრი** გამოთქვეს:

ბ-ნმა რ. სოხაძემ, რომელმაც ისაუბრა „დიღმის ჭალებში“ შექმნილი ვითარების შესახებ და აღნიშნა, რომ პრობლემა არსებობს და მოსახლეობა ითხოვს მის დროულად მოგვარებას.

გარდა „დიღმის ჭალებში“ შექმნილი ვითარებისა, ბატონმა რ. სოხაძემ ისაუბრა იმ საკითხებზეც, რომელიც ქ. თბილისში, „დიღმის ჭალების“ მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვანია. ეს არის: საგზაო ინფრასტრუქტურის და გარე განათების მოწესრიგება, ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება და სხვ.

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა ისაუბრა „დიღმის ჭალებში“ შექმნილი პრობლემის დროულად მოგვარების გზებზე და აღნიშნა, რომ ის ღონისძიებები, რაც მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ გატარდა მათი უფლებამოსილების ფარგლებში, მისასალმებელია, მაგრამ აუცილებელია უახლოეს პერიოდში დაიგეგმოს და განხორციელდეს ის ღონისძიებები, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და გადაწყვეტს არსებულ პრობლემას.

ბ-ნმა დ. უთმელიძემ ყურადღება გაამახვილა სასარგებლო წიაღისეულის, მათ შორის ინერტული მასალის მოპოვების ლიცენზიის გაცემისა და შემდეგ, აღნიშნული საქმიანობის კონტროლის პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფოს მონაწილეობაზე. მან აღნიშნა, რომ ლიცენზიანტის მიერ ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირება უნდა განახორციელოს ლიცენზიის გამცემმა ორგანომ, ამ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სალიცენზიო პირობების დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელმა ორგანომ - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

ქ. თბილისში, „დიღმის ჭალების“ მიმდებარე ტერიტორიის **მაცხოვრებლების წარმომადგენლებმა ისაუბრეს** „დიღმის ჭალების“ მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც ინერტული მასალის მოპოვების, ადგილზე დაფასოება-რეალიზაციის, ასევე, სამშენებლო ნარჩენების განთავსების პრობლემის შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ 2019 წლის ბოლოდან სისტემატიურად ფიქსირდება სატვირთო ავტომანქანებით ტერიტორიაზე ინერტული მასალის გამოტანისა და სამშენებლო ნარჩენების შეტანის ფაქტები, რაც, მათი აზრით, უკანონოდ და უნებართვოდ ხორციელდება. მათ ასევე ყურადღება გაამახვილეს ინერტული მასალის მომპოვებელი კარიერების მუშაობის შედეგად „დიღმის ჭალებისთვის“ მიყენებული ზიანის ფაქტებზე. მათი თქმით, გარდა ტერიტორიისთვის აუნაზღაურებელი ზიანის მიყენებისა, სიტუაციას უფრო ამძიმებს ისიც, რომ მოპოვებული ინერტული მასალებისა თუ სამშენებლო ნარჩენების სატვირთო მანქანებით ყოველგვარი დამცავი საშუალებების გარეშე (ღია წესით) გადაზიდვისას ჰაერში იფრქვევა ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებები მტვრის სახით.

მოსახლეობის წარმომადგენლებმა ასევე ისაუბრეს „დიღმის ჭალების“ ტერიტორიაზე დაგეგმილი საქალაქო მნიშვნელობის პარკის პროექტის შესახებ. მათ ითხოვეს, პარკის მოსაწყობი ტერიტორიის ფართობის გაზრდა და ტერიტორიაზე გაშენებული ხე-ნარგავების შენარჩუნებით ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის გაშენება.

„დიღმის ჭალებში“ შექმნილი ვითარების თაობაზე, ასევე ისაუბრა ბატონმა ლევან ჯღარკავამ. მისი ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ რეაგირება მოახდინა დარღვევის გამოვლენისთანავე. მწვანე ნარგავებისთვის ზიანის მიყენების ფაქტის დაფიქსირების საფუძველზე, ჩატარდა ექსპერტიზა. დადგინდა ზიანი, რომელიც, შესაძლოა, შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც საქმე შემდგომი მოკვლევისთვის გადაეცა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს. უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო ნარჩენების დაყრით მწვანე ნარგავებისთვის ზიანის მიყენების ფაქტზე, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიმართ არაერთხელ გამოიწერა ადმინისტრაციული ჯარიმა. ხოლო, ინერტული მასალის მოპოვებისა და სალიცენზიო პირობების დარღვევის ნაწილში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია შესაბამისი რეაგირების მოხდენის უფლებამოსილებას მოკლებულია.

რაც შეეხება, ინერტული მასალის მოპოვების ადგილსა და მის მიმდებარედ სამშენებლო ნარჩენების დაყრას, ბატონმა ლ. ჯღარკავამ განმარტა, რომ ახალი კორონა ვირუსის - COVID-19-ის გამო ქვეყანაში გამოცხადებული კარანტინის და საგანგებო მდგომარეობის დროს აღნიშნულ ლოკაციაზე, შესაძლოა, მიმდინარეობდა ინერტული მასალის მოპოვება, მაგრამ არა სამშენებლო ნარჩენების დაყრა, რადგან სამართალდარღვევა დაფიქსირდებოდა მუნიციპალური ინსპექციის საპატრულო ეკიპაჟის მიერ ან ადგილზე დამონტაჟებული სათვალთვალო ვიდეო-კამერებით. გარდა ამისა, არსებობს სტატისტიკური მონაცემი, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მიერ გამკაცრებული ზომების შემდეგ, არამარტო „დიღმის ჭალების“ ტერიტორიაზე, არამედ საქალაქო სამსახურების მიერ გამოვლენილ სხვა ლოკაციებზეც (სტიქიურ ნაგავსაყრელებზე) შემცირებულია სამშენებლო ნარჩენებისა და მასალების დაყრის ფაქტები.

ქ-ნმა მაია ბითაძემ დამსწრე საზოგადოებას „დიღმის ჭალების“ **საქალაქო პარკის** პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა. საქალაქო მნიშვნელობის პარკის პროექტის დაწყება იგეგმებოდა 2020 წელს, მაგრამ ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელება გადავადდა. თუმცა აღნიშნული საქალაქო პარკი აუცილებლად მოეწყობა.

მოპოვებული ინერტული მასალებისა თუ სამშენებლო ნარჩენების სატვირთო მანქანებით ყოველგვარი დამცავი საშუალებების გარეშე (ღია წესით) გადაზიდვის შესახებ მოსახლეობის წარმომადგენლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების მიერ აღინიშნა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ასევე, როგორც წესი, ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულების მიხედვით, ამტვერებადი მასალის გადაზიდვებისას ლიცენზიანტმა

ან/და გადამზიდავმა პირმა უნდა უზრუნველყოს გზის დანამვა და ასევე, გადაზიდვა უნდა მოხდეს დახურული წესით.

სხდომის ბოლოს სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა გ. დოხტურიშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა წინადადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით, უახლოეს პერიოდში, გაიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა, რომელსაც დასწრებიან ქ. თბილისში, „დიღმის ჭალების" მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლების წარმომადგენლებიც. სხდომის თარიღი და დღის წესრიგი წინასწარ ეცნობებათ დაინტერესებულ პირებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა სხდომის თავმჯდომარის, ბატონი გიორგი დოხტურიშვილის წინადადება.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:  გიორგი დოხტურიშვილი